



# ს ა კ ა დ ე მ ი ი ს უ ნ ყ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ენა: შიშული, საინჟინოეზა — ოჯახი, ზნეობა, ცნადიციო  
ცილნა, ვანაილეზა, ვანსნაილა — ერიფულეზა, სიყიჩიული, თიხადვიშა



№3, აპრილი, 2017

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი



**ირაკლი ჟორდანი**  
საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის  
აკადემიკოს-მდივანი

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ახალი, პროგრესული იდეებისა და მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის უწყვეტ ნაკადს, სრულად ემყარება სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო თუ საინჟინრო სამუშაოების ზუსტ გათვლებს და ამ მიმართულებით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებს.

ტექნიკური სიახლეები საშუალებას იძლევა უზრუნველყოს მუშახელის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება, პროდუქციის ნაკლები დანახარჯებით წარმოება, ხოლო დაზოგილი

სახსრებით გამოშვებული პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციები ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს და აუცილებლად საჭიროებს საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის წახალისებას, მით უფრო, რომ დღეს საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, იმ მეცნიერთა და კონსტრუქტორთა რაოდენობა, რომლებიც დაკავშირებული არიან ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და განვითარებასთან, საგრძნობლად მცირეა. ხშირად გამომგონებლები და მკვლევრები თავიანთი შრომის შესაფერის მატერიალურ ანაზღაურებას ვერ იღებენ და ამის გამო ახალი იდეებისა და გამოგონებებისადმი ენთუზიაზმსა და ინტერესს კარგავენ.

საქართველოს ეკონომიკური წინსვლისათვის, რომელიც მაღალ ტექნოლოგიებზე უნდა იყოს ორიენტირებული, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერების დაფინანსების ზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება, სამეცნიერო კვლევებში კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოყენებითი მეცნიერების დაფინანსებაში კერძო სტრუქტურის ჩაბმას, რომლის წილი ეკონომიკურად განვითარებულ

ქვეყნებში გადამწყვეტია და 70%-ზე მეტსაც კი აღწევს. რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც, სადაც კერძო ბიზნესის როლი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში ძალიან მცირეა. მეცნიერულ კვლევებთან ბიზნესის დაახლოება, კვლევის შედეგებით მისი დაინტერესება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მეცნიერების კომერციალიზაციის საშუალებით, კომერციალიზაციის ხელშემწყობ ქმედით საშუალებას კი წარმოადგენს საგადასახადო შეღავათები. ბიზნესმენი, რომელიც ინვესტიციას დებს მეცნიერების იმ დარგში, რომელიც მას აინტერესებს, რამდენიმე წლით თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. აუცილებელია ასევე საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების შემოღება ისეთი კომპანიებისთვისაც, რომლებიც ქმნიან კონსორციუმებს კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით. მეცნიერების კომერციალიზაციის ადრეულ ეტაპზე კვლევების დასაფინანსებლად და მისი შედეგების სარეალიზაციოდ ეფექტურია საგრანტო სისტემის გამოყენება, შემდეგ ეტაპებზე კი საჭირო ხდება სარისკო კაპიტალის მოძიებაც. ახალი, მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნა, რომელიც კონკურენტუნარიანია საერთაშორისო ბაზარზე და გააჩნია რეალური საექსპორტო პოტენციალი, მოითხოვს სერიოზულ ინვესტიციებს და მუდმივად დაძაბულ რეჟიმში მომუშავე საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალს. შთამბეჭდავია მსოფლიოს წამყვანი

კორპორაციების მიერ სამეცნიერო კვლევებისა და წარმოების განვითარებაზე დახარჯული თანხები.

გარდა სამეცნიერო მიღწევებისა ინოვაციური პროცესების წარმართვაზე მრავალი სხვა ფაქტორიც ახდენს გავლენას: ეკონომიკური, ტექნიკური, პოლიტიკური, იურიდიული და სხვა. ამიტომ კომერციალიზაციის პროცესი, ბიზნესგეგმის დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს დიდი სიზუსტით, რეალური პერსპექტივის განსაზღვრითა და ყველა იმ მოულოდნელი გარემოების გათვალისწინებით, რომელსაც ზოგჯერ გვერდს ვერ ავუვლით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უპირველეს ამოცანად მიიჩნია ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისთვის ხელშეწყობა, ქვეყანაში ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სტრატეგიული მიმართულებების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრა, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე რეალური ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების შესახებ წინადადებების მომზადება და შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და ბიზნესწრეებში განსახილველად წარდგენა. ამ მიზნით 2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შეიქმნა ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციას და მაღალი ტექნოლოგიების ათვისებას, მეცნიერებას, განათლებასა და ბიზნესს შორის პარტნიორული თანამშრომლობის

გაძლიერებას, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და მათ მაღალკვალიფიციურ ექსპერტიზას, საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიურ თანამშრომლობაში საქართველოს პოზიციების გაძლიერებას, ინოვაციური პოლიტიკის განვითარებაში ბიზნესის აქტიურ მონაწილეობას.

ცენტრის პირველი სხდომა, რომელიც 2014 წლის 21 ნოემბერს შედგა (სულ ჩატარდა ცენტრის 33 სხდომა), **მიეძღვნა ბიოტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს**. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, რომ XXI საუკუნეში ბიოტექნოლოგია მრავალი ქვეყნის განვითარების მაგისტრალურ გზას წარმოადგენს, მან ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორცაა: ტრადიციული და არატრადიციული ტექნოლოგიებით სურსათისა და მისი ცალკეული ინგრედიენტების სერიული წარმოება, მასშტაბური ურბანიზაციით გამოწვეული ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დაძლევა, ალტერნატიული ბიოენერჯომატარებლების დამუშავება, რადიაციის ფონის შემცირება, ბუნებაში სპონტანური მუტაციების და მუტაგენური ეფექტის დაძლევა, ახალი ტიპის სამკურნალო საშუალებების, გენმოდულირებული ორგანიზმების გამოყენება. ბოლოს მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყველა წამყვან ქვეყანას გააჩნია ბიოტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პროგრამა. საქართველოშიც ამ მიმართულებით შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა. აკადემიის წევრმა თინათინ სადუნიშვილმა აღნიშნა, რომ ბიოტექნოლოგია წარმოად-

გენს ბიოლოგიური მეცნიერებების ინტეგრირებას ინჟინრულ პრინციპებთან. იგი ბიოლოგიური სისტემების (უჯრედები, ქსოვილები) ან ბიომოლეკულების (ცილები, ფერმენტები, ანტისხეულები, დნმ/რნმ) საშუალებით უზრუნველყოფს ადამიანისათვის მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტების მიწოდებას კომერციული მასშტაბით და ამით ხელს უწყობს გლობალური გამოწვევების დაძლევას. ბიოტექნოლოგია ძირითადად უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მიკრობული კულტურები დაედო საფუძვლად ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი მრავალდარგოვანი სატრანსფერო ცენტრის ჩამოყალიბებას ქალაქ იანტაიში, სადაც ქართველი და ჩინელი მეცნიერების ერთობლივი კვლევები მიმდინარეობს.

თბილისში დამუშავებულია ბიოაქტიური ექსტრაქტების, მ.შ. მცენარეული წარმოშობის საღებავების მიღების ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვების პროდუქტების და ქსოვილების შესაღებად.

**ცენტრის ერთ-ერთი სხდომა** მიეძღვნა არაორგანული მასალათმცოდნეობის მიღწევებს და განვითარების პერსპექტივებს; მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა გიორგი თავაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მასალათმცოდნეობა ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების ჩარჩო-პროგრამის „ჰორიზონ 2020“-ის მიხედვით მეცნიერების ერთ-ერთი ინტენსიურად განვითარებადი მიმართულებაა. ახალი მასალების შექმნა 8 პრიორიტეტულ მეცნიერულ მიმართულებათა შორის მოიხსენიება. მასალათმცოდნეობის დარგში ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან გამოცდილებასა და ტრადიციებს წარმატებით

აგრძელებს ფერდინანდ თავაძის მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი. ჩვენს საუკუნეში საოცარი სისწრაფით ვითარდება ნახევრადგამტარების და ზეგამტარების ფიზიკა, რადიოელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ატომგულური ენერგეტიკა, კოსმოსური ტექნიკა, ავიაცია და სხვა, შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მასალების სამუშაო ბარომეტრულ-ტემპერატურული ინტერვალი; ტემპერატურის ზედა ზღვარი სულ მალა „მიცოცავს“, ამავე დროს ფართოვდება კვლევები დაბალ ტემპერატურაზე, რაც კრიოგენული ტექნიკის განვითარებასა და ზეგამტარი მასალების მიღებასთანა დაკავშირებული. ყოველივე ეს მოითხოვს სრულიად ახალი, სპეციალური ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების მქონე მასალების მიღებას და ამ მიმართულებით სათანადო კვლევების ჩატარებას.

ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ იქნა სალი შენადნობების ახალი ჯგუფი, რომელშიც სალ ფაზად გამოყენებულია ლითონების ბორიდები, ხოლო მათი შემკვრელის როლს ასრულებს ის ლითონი, რომლის ფუძეზეც იქნა მიღებული შესაბამისი ბორიდი. დადგინდა პროცესის ოპტიმალური პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ შენადნობის მაღალ საექსპლუატაციო თვისებებს და ერთ სტადიაში ლითონგარსაცმიანი სალი შენადნობების მიღების შესაძლებლობას. შემუშავებული ტექნოლოგიების საფუძველზე, საწარმოო გაერთიანება „იუსტალ“-ის ინსტრუმენტალურ სამექროში შეიქმნა თმს უბანი, სადაც დღესაც მზადდება ლითონდამამუშავებელი ინსტრუმენტები: ადიდვის თვალაკები, საფანტმტყორცნი ტურბინის ფრთები და სხვა.

შესწავლილ იქნა აგრეთვე კალიუმის ტეტრაბორფტორატის

მონაწილეობით მიმდინარე რეაქციები, ბორის, ბორის კარბიდის და ბორის ნიტრიდის წარმოქმნის კანონზომიერებანი. ჩატარებული კვლევების შედეგად ბორის ანჰიდრიდიდან, ბორის მჟავიდან და მათი ნარევიდან სინთეზირებულ იქნა ელემენტარული ბორი, ბორის კარბიდი და ბორის ნიტრიდი. ფხვნილოვანი ბორის კარბიდისა და ბორის ნიტრიდის მიღების ტექნოლოგია დანერგილ იქნა საზღვარგარეთაც. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მიღებული ზეგამტარი მასალებიდან აფეთქების ენერჯის გამოყენებით შემუშავებულ იქნა დენის ზეგამტარი ნაკეთობების მიღების ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, მეტალურგიის ინსტიტუტისა და კურჩატოვის სახელობის ატომური ენერჯის ინსტიტუტებმა დაინყეს „ტოკომაკის“ სახელით ცნობილი საერთაშორისო პროექტისათვის განკუთვნილი ზეგამტარი მაგნიტების ხვიების მაკეტების დამზადება.

კომპოზიციური მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლების გაზრდის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მოცულობაში დიფერენცირებული შემადგენლობისა და თვისებების მქონე შენადნობების შექმნა. ასეთი მიმართულების პერსპექტიულობა განპირობებულია იმით, რომ ერთ ნაკეთობაში თავმოყრილია სხვადასხვა შემადგენლობისა და თვისებების მქონე შენადნობები ან ნაერთები, რომლებიც განაპირობებენ ნაკეთობის უნარს, სხვადასხვა მიმართულებით გამომჟღავნოს ესა თუ ის მოთხოვნადი თვისება. სწორედ მათ მიიღეს „ფუნქციონალურ-გრადიენტული მასალების“ სახელწოდება.

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, საინტერესოა კომპოზიციური კერამიკული მასალები, რომლებიც წარმოად-

გენენ გარდამავალი ლითონების კარბიდების, ბორიდების, ნიტრიდების და ჟანგეულების ნარევის. სათანადო ფაზების შერჩევით კომპოზიციური მასალა ნაკლებ მგრძობიარე ხდება დაძაბულობის კონცენტრატორების მიმართ, არ იზარება, მდგრადია ნიშანცვლად, დინამიურ და ხანგრძლივი დატვირთვების პირობებში. კომპოზიციურ მასალებში შემადგენელი ფაზების შერჩევა, შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე მასალები. ეს თვისებებია: სიმტკიცე, სიხისტე, მხურვალმდეგობა და ქიმიური მედეგობა. მაღალტემპერატურული ქიმიური რეაქციებით [თმს (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი) – ტექნოლოგიით] მიღებულია კომპოზიციური ფხვნილები, რასაც წინ უძღოდა სათანადო თერმოდინამიკური გამოთვლები.

ინსტიტუტმა მიზნად დაისახა კერამიკული ჯავშანმასალის მიღება, რომელიც გამორჩეული უნდა ყოფილიყო თავისი სიმსუბუქით, მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, მაღალი ბალისტიკური მდგრადობით, ტექნოლოგიურობითა და სიიარაფით, რაც მნიშვნელოვნად გამოარჩევდა მას, როგორც ლითონური ჯავშნისაგან, ასევე ცნობილი კერამიკული ჯავშანმასალებისაგანაც. თმს-აღდგენითი სტადიისა და თმს-კომპაქტირების ერთობლივი გამოყენებით, რაც ინსტიტუტის მიერ პირველად იქნა განხორციელებილი, მიღებულია საჯავშნე კომპოზიციური კერამიკული მასალა  $B_4C$ .  $TiB_2$ .  $Al_2O_3$ , კოდური სახელწოდებით „თორი“. განსაზღვრულ იქნა თმს დანწევის მეთოდით მიღებული ჯავშანფირფიტების ზოგიერთი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებელი. ისინი მნიშვნელოვნად აღემატებიან ცხლად დანწეხილი ბო-



რის კარბიდის, ალუმინის ჟანგის და ა.შ. ფიზიკო-მექანიკურ მახასიათებლებს. წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების შედეგები თავმოყრილია მონოგრაფიაში, რომელიც 2013 წელს გამოცემა ცნობილმა გამომცემლობამ შპრინგერმა აშშ-ში. აღნიშნულ მასალებს გამოყენების პერსპექტივა გააჩნია თავდაცვის სფეროში. აღსანიშნავია მეტალურგიის ინსტიტუტის საქმიანი თანამშრომლობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან ლითონების ახალი ტიპის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანის დანერგვასთან დაკავშირებით. ორიგინალური კონსტრუქციის მქონე დანადგარის ავტორები ინსტიტუტის თანამშრომლები არიან. ქარხანამ ინოვაციური წინადადებების რეალიზაციისათვის საკმაოდ სერიოზული საინვესტიციო თანხა გამოყო.

დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში მოხდება მისი ტირაჟირება.

ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

ცენტრის ერთ-ერთ სხდომაზე განხილულ იქნა ქვეყნის ეკონომიკისათვის ისეთი აქტუალური საკითხი, როგორცაა **შავი ზღვისპირეთის თბოსიცივით მომარაგების ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ეფექტიანი, ანუ კოევიოლუციური მეთოდი** (მომხსენებელი - სტუ-ს პროფესორი ვაჟა ჯამარჯაშვილი); მეთოდი, რომლის სიახლე დაცულია 2013 წელს გაცემული საქართველოს პატენტით №5841 „ზღვის სიღრმის წყლით ჰაერის საწვინდო კონდიციონების სისტემა“, ეფუძნება შავ ზღვაში წყლის ტემპერატურის სიღრმის მიხედვით ანომალური განაწილებას, რაც ერთი მხრივ, სიცივის, ხოლო მეორე მხრივ, დაბალპოტენციური სითბოს პრაქტიკულად ამოუწურავ და განახლებად წყაროს წარმოადგენს. მეთოდი შესაძლებელია დაინერგოს

ზღვისპირა ქალაქებში ბათუმში, ფოთსა და ანაკლიაში. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა ტრადიციულ მეთოდთან (ჰაერის გაგრილება ორთქლკომპრესიული დანადგარებით, ხოლო თბო და ცხელწყალმომარაგება ბუნებრივი გაზის ბოილერებით) შედარებით 70-80 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, თანაც თბომომარაგება ხდება ნახშირორჟანგის გენერირების გარეშე. არსებული ასწლიანი მონაცემებით, განსხვავებით სხვა ზღვებისგან, თერმოსოლში 30-50 მ-დან 150-200 მ სიღრმემდე ზღვის წყლის ტემპერატურა შეადგენს 6-8°C და პრაქტიკულად არ იცვლება წლის განმავლობაში. ფაქტიურად შავი ზღვის სიღრმული წყლის ნაკადი თერმოსოლში ერთი მხრივ სიცივის, ხოლო მეორე მხრივ, დაბალპოტენციური სითბოს კოლოსალურ, პრაქტიკულად ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს. პროექტის თანახმად, საპორტო და სამრეწველო დანიშნულების შენობებში, საცხოვრებელ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ კომპლექსებში, სასტუმროებში, ლოგისტიკურ ცენტრებში და სხვა ობიექტებში, თბოსიცივით მომარაგება განხორციელდება:

1) ზაფხულის თვეებში შენობებში, საოფისე სივრცეებში, სათავსოებში ჰაერი კონდიციონდება – გაგრილდება მათში განთავსებული „ფანკოილებით“ და ჰაერის სავენტილაციო აგრეგატებით, რომელთა სამაცივრო აგენტს წარმოადგენს შავი ზღვის სიღრმული წყლით რეკუპერაციულ თბოგადამცემებში გაცივებული მტკნარი წყალი. ამდენად ჰაერის გაგრილებისთვის გამოიყენება ორი კონტური (პირველში - ზღვის წყალი ცირკულირებს, მეორეში - მტკნარი წყალი) და კონტურთგამყოფი რეკუპერაციული თბოგადამცემები, რომლებსაც ზღვის სიღრმული წყალი მიეწოდება შესაბამისი წყალქვეშა

მილგაყვანილობით და ნაპირზე განლაგებული სატუმბო სადგურის წყალაღების ტუმბოებით;

2) წლის განმავლობაში მუდმივად ცხელწყალმომარაგების და ზამთრის თვეებში გათბობისთვის ზღვის სიღრმული წყალი უშუალოდ მიეწოდება წყალაღების ტუმბოებით თბური ტუმბოების საორთქლებლებს. თბურ ტუმბოებში სითბოს ტრანსფორმაციის შედეგად მათი კონდენსატორები უზრუნველყოფენ მეორე კონტურის მტკნარი წყლის გაცხელებას 50-55°C-მდე, რომელიც საჭირო თანაფარდობით გამოიყენება ცხელწყალმომარაგების სისტემაში და ჰაერის შესატობად „ფანკოილებში“ (რიგ შემთხვევაში დაბალტემპერატურული რადიატორებითაც) და სავენტილაციო აგრეგატებში. მიღებული შედეგების გათვალისწინებით თბოსიცივით მომარაგების კოევიოლუციური მეთოდი შავი ზღვისპირეთის სხვა რეგიონებში რეპლიკაციის საფუძველი გახდება.

პროექტის ექსპერიმენტული ნაწილი 2009-2010 წლებში შესრულდა კოგე (კოევიოლუციური გადაწყვეტები ენერგეტიკაში)-ს მიერ, ხოლო 2013-2014 წლებში - რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. კვლევის შედეგად დადგინდა რომ:

1. პროექტის თანახმად, ჰაერის კონდიციონებაზე ზაფხულში საჭირო ელექტროენერგიის ხარჯი 11.5-ჯერ ნაკლებია ტრადიციულ მეთოდთან შედარებით;

2. თბომომარაგებაზე საჭირო წლიური საექსპლუატაციო დანახარჯი 0.5 მლნ. აშშ. დოლარს შეადგენს, მაშინ, როდესაც ბუნებრივ გაზზე გათბობა 1.6 მლნ. დოლარს მოითხოვს, ამასთან აღკვეთილი იქნება საკურორტო ზონის საჰაერო სივრცეში 10 ათას ტონამდე ნახშირორჟანგის ემისია.

ზემოაღნიშნულმა მოხსენებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია, როგორც მეცნიერულ, ისე ტექნიკურ და ბიზნესსაზოგადოებაში. კერძოდ, პროექტით დაინტერესდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმი, რომლის სათაო ოფისში მოეწყო პროექტის განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ევროპის ნავსადგურების საპროექტო ორგანიზაციები (მაგ. „კონტი“). მხარეებმა ერთსულოვნად მოინდონეს წარმოდგენილი პროექტი და შესაძლებლად მიიჩნიეს მისი გათვალისწინება ანაკლიის ნავსადგურის საპროექტო სამუშაოების დროს.

ცენტრის სხდომაზე განხილული იყო აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა **ახალი ტექნოლოგიები საქართველოს მეღვინეობაში** (მომხსენებლები – დოქტორი დ. ჩიჩუა და გამომგონებელი ჟ. გაბრიჭიძე). აღინიშნა, რომ მსოფლიო ღვინის ბაზარი საღვინე ყურძნის ახალი ჯიშების და ახალი გემოს ძიებაშია. ამ მხრივ მსოფლიოსათვის საქართველო საინტერესო ქვეყანაა, რადგან 500-ზე მეტი ვაზის ქართული ჯიშიდან 40-მდე საღვინე ჯიშია, ხოლო 20-მდე ჯიშიდან უმაღლესი ხარისხის ელიტური ღვინო იწარმოება. რაც შეეხება უშუალოდ გემოს, ამ მხრივ ქართული ქვევრი უნიკალური ჭურჭელია. 2013 წელს იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, ხოლო გასულ წელს ღვინის მსოფლიო ასოციაციამ ქვევრის ღვინო ცალკე კატეგორიად სცნო. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ქვევრის 20-ზე მეტი კერძო მარანი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ღვინის მსოფლიო დეგუსტაციებზე, სადაც ეს ღვინოე-

ბი შემფასებლების აღფრთოვანებას იწვევს.

ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის მხრივ გარკვეული წარმატებებია მიღწეული, რასაც ვერ ვიტყვით თვით ქვევრზე, რადგან ღვინოზე მომუშავე ორგანიზაციები მას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მიუხედავად ამისა, ათასობით ქვევრია გატანილი საზღვარგარეთ და შესაბამისად განყოფილი მარნები არსებობს მთელ მსოფლიოში. მაგრამ ქვევრის ღვინის უფრო ფართო გავრცელება ყველა იმ პრობლემათა აღმოფხვრის გარეშე, რომელიც ქვევრს ყოველთვის ჰქონდა და დღესაც აქვს, შეუძლებელი იქნება. დადგენილია, რომ ქვევრის ტრადიციული ფორმა განაპირობებს დაყენებული ღვინის უნიკალურ გემურ თვისებებს. გამოსაკვლევეია ქვევრის დასამზადებელი თიხების ბიოქიმიური შედგენილობა, აგრეთვე ის, თუ ახალი ქვევრი მასში ჩასხმულ ღვინოს რა ნივთიერებებს გადასცემს და რამდენი ხნის განმავლობაში. ქვევრი დღეს ისეთივე კუსტარული მეთოდით მზადდება, როგორც ათასობით წლის წინ, ამიტომ თუ არ მოხდება მისი წარმოების მექანიზაცია, მეღვინეობის ქვევრების გაზრდილი რაოდენობით უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება. გადასაწყვეტია ქვევრის გამოყენების მექანიზაციის საკითხებიც – ქვევრის რეცხვა, ქვევრში მადულარი დურდოს დარევა, ქვევრის ჭაჭა - ლექისგან განთავისუფლება, უნდა მოინახოს ქვევრის გახსნა-დახურვის ნაკლებ შრომატევადი მეთოდი და ა.შ. ჟ.გაბრიჭიძის მიერ დამზადებულია ქვევრის მექანიკურად წარმოების დანადგარი, რომლის გამოყენებით მკვეთრად იზრდება მწარმოებლურობა და ხარისხი; გადაწყვეტილია ქვევრის ყელში ღვინის ჰერმეტიკულად დახურვის პრობლემა; შექმნილი და

დაპატენტებულია ქვევრის ულტრაბგერითი რეცხვის აპარატი. აუცილებელია შესაბამისი ორგანიზაციების ყურადღება მივაქციოთ იმ დიდ პოტენციალზე, რომელიც ქვევრის და ქვევრის ღვინის კაპიტალიზაციაშია ჩადებული, ხოლო ქვევრის ღვინის ფართო გავრცელება მოითხოვს ყოველწლიურად ათიათასობით ქვევრის წარმოებას; თუ დღეს შიდა ბაზარზე ერთი სამტონიანი ქვევრი ორი ათას დოლარამდე ღირს, დამუშავებული და დაპატენტებული ტექნოლოგიის გამოყენება მისი თვითღირებულების 600-700 ლარამდე შემცირების საშუალებას მოგვცემს. ქვევრის საცდელი ნიმუშები დამზადდა სოფ. ტყემლოვანაში (ჭიათურა), ხოლო ქვევრის სარეცხი ულტრაბგერითი აპარატი გამოიცადა ალავერდის მონასტრის მარანში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჟ. გაბრიჭიძის მიერ შემოთავაზებულმა ქვევრის დამზადების ტექნოლოგიამ დააინტერესა მეწარმეები და ცენტრის რეკომენდაციით მოხდა გამომგონებლის მათთან დაკავშირება.

**ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეგულირების ინოვაციურ პრინციპებს** მიეძღვნა ცენტრში შემდგარი რამდენიმე სხდომა, რომლებზეც მოხსენებებით წარსდგინეს პროფესორები რევაზ არველაძე და დემურ ჩომახიძე, ასევე სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორი, პროფესორი ნუგზარ ბერიძე. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი ტრადიციულად ღრმად დეფიციტურია. ქვეყანას გარედან შემოაქვს მოხმარებული ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის თითქმის მთლიანი რაოდენობა. შედარებით სტაბილურია ელექტრობალანსი, ბოლო ხანებში კი ელექტროენერჯის გარკვეული რაოდენობა

მიენოდება მეზობელ სახელმწიფოებსაც. მთლიანობაში ქვეყანა საკუთარი წარმოების ენერგორესურსებით თავს მხოლოდ 30-35 პროცენტით იკმაყოფილებს, ხოლო დანარჩენი გარედან შემოდის. ბალანსის დეფიციტურობას გარკვეულწილად განაპირობებს ენერგორესურსების არარაციონალური მოხმარებაც. განხილული იქნა საქართველოში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები, ამ ბაზრის სტრუქტურა და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზაციის მდგომარეობა. ბაზრის მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა არსებული საბაზრო სტრუქტურის ხარვეზები და განისაზღვრა ძირითადი კრიტერიუმები ბაზრის ახალი მოდელისათვის, კერძოდ:

- მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი რეგულირებადი ტარიფები;

- სამომხმარებლო ბაზრის პერმანენტული გახსნა და გენერაცია-მიწოდების სეგმენტში კონკურენციის განვითარება;

- ჩვენი ქვეყნის ენერგორესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება;

- საკანონმდებლო ბაზა და ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმების ჰარმონიზება ევროპარლამენტისა და ევროკომისიის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან და მეზობელი ქვეყნების კანონმდებლობასთან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სუფთა ენერჯის რეგიონული პლატფორმის ჩამოყალიბებასა და ევროპის ერთიან ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრაციას.

**ეროვნული სივრცითი მონაცემების მართვას** მიეძღვნა შპს „გეოგრაფიკის“ დირექტორის გიორგი გოცირიძის და არქიტექ-

ტორი-ურბანისტი, პროფესორ ვლადიმერ ვარდოსანიძის მოხსენებები, რომლებშიც აღინიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას სივრცითი წესრიგი წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ისტორიულ გარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის მდგრადი განვითარების ოთხ ძირითად მიმართულებას შორის „სივრცითი მოწყობის“ აღიარება. ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება ევროკავშირის მოთხოვნაა, რომელსაც ის წევრ ქვეყნებს უყენებს და გეოინფორმაციული სფეროს, საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული საკითხების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს. გეოგრაფიულ მონაცემებზე თავისუფალი წვდომა ჯანსაღი და მდგრადი საზოგადოებრივი განვითარებისთვის საჭირო წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, საქართველოში უნდა შეიქმნას და განვითარდეს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა.

გამომგონებელთა, მეცნიერთა და მეწარმეთათვის მოენყო რამდენიმე **საინფორმაციო ხასიათის სხდომა**. პატენტებს, ინოვაციებს და სამეცნიერო მიღწევების კომერციალიზაციას, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივ ასპექტებს მიეძღვნა საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის და თავმჯდომარის მრჩევლის დავით გაბუნიას მოხსენებები. აღინიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიო ხასიათდება ცოდნის გენერაციისა და გავრცელების დიდი სისწრაფით და გამოგონებათა რაოდენობის ექსპონენციალური ზრდით, მათი კომპლექსურობითა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ახალ სფეროებზე საპატენტო დაცვის გავრცელებით. ამასთან და-

კავშირებით მეცნიერი და გამომგონებელი ცოდნის ეკონომიკის განვითარების მთავარი შემოქმედები არიან.

ასევე ჩატარდა სხდომა, რომელიც მიეძღვნა სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიაში ინოვაციებსა და სამართლებრივ პრაქტიკას, მომხსენებლებმა: საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა დავით ტყემალაძემ და ამავე სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ნინო მიქანაძემ აღნიშნეს, რომ სტანდარტიზაციის სფეროში სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს პრიორიტეტები, სახელმწიფოს, ბიზნესისა და მეცნიერების როლი, მათი მონაწილეობის ფორმები და ხარისხი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამისთვის ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები აკრედიტაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროების განვითარების და მათი ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ერთ-ერთ ნაშევან საკითხს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის, წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ზრდის, მეწარმეობისა და ექსპორტის ხელშეწყობისათვის.

როგორც **მეცნიერული კვლევის შედეგების წარმატებული კომერციალიზაციის** მაგალითი სხდომაზე განხილულ იქნა შპს „ბაზალტ-ფაიბერსის“ მიღწევები; ფირმა აწარმოებს ბეტონისა და ასფალტის საარმირე მასალებს, რომლებიც უკეთესი ხარისხისაა და უფრო იაფია იმ ანალოგებთან შედარებით, რომელთა იმპორტი ხორციელდება საქართველოში



ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოსაყენებლად. შპს „რებასმა“ დაიწყო ბაზალტის არმატურის (100% ქართული პროდუქტი) წარმოება სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყენებლად და ეს, როგორც შედარებით იაფი პროდუქცია, ნაწილობრივ შეცვლის უცხოეთიდან იმპორტირებულ და ადგილობრივ ფოლადის არმატურას.

სამუშაოს მიეცა რეკომენდაცია და მაღალი შეფასება.

**ქვეყანაში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებს მიეძღვნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“-ს დირექტორის მარიამ ჯორჯაძის გამოსვლა. აღინიშნა, რომ მიუხედავად ასოციაციის მიერ წარმოებული მუშაობისა, მხოლოდ მისი ძალისხმევა არაა საკმარისი საქართველოში ბიოორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მსოფლიო ბაზარზე ქართული ორგანიკული პროდუქციის გატანისათვის; მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, კვლევების, მწარმოებელთა მხარდაჭერის პროგრამების გაფართოება, პროდუქციის ხარისხის კონტროლის, ხარისხის სტანდარტების დამკვიდრებისა და სერტიფიცირების სქემის შემოღება.**

**საქართველოში მეძროხეობის განვითარებაში ინოვაციური მეტოდების გამოყენებას** მიეძღვნა ცენტრის ერთ-ერთი სხდომა. პროფესორ ლევან თორთლაძის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც მეცნიერთა და ფერმერთა, ასევე სამინისტროს და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომელთა შორის. აღინიშნა, რომ მეძროხეობა დღეს ქვეყნის მრავალ რეგიონში მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროს წარმოადგენს. 1985-2015 წლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღდ-

გენილია მხოლოდ სულადობის რაოდენობა პროდუქტიულობის შემცირების ფონზე, რამაც გამოიწვია რძის ფხვნილის იმპორტის გაზრდა. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცხოველების ხარისხობრივ გარდაქმნას, რაც მიიღწევა კარგად ორგანიზებული სასელექციო-სანაშენე მუშაობით. 2006 წელს ჩამოყალიბდა ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ და ლაბორატორია „MINITUB“, რომლებიც აწარმოებენ ადგილობრივი ჯიშების სპერმას, ამზადებენ ხელოვნური დათესვის სპეციალისტებს, ატარებენ ტრენინგებს მეცხოველეობის ისეთ ინოვაციურ საკითხებზე, როგორცაა ემბრიონის ტრანსპლანტაცია, სქესზე ორიენტირებული სპერმის მიღება და ა.შ. მაგრამ ფურების პროდუქტიულობის ზრდა შეუძლებელია საიმედო საკვები ბაზის გარეშე. საჭიროა საკვებწარმოება გადაწყდეს კომპლექსურად, გამოუყენებელი სახნავის რაციონალური გამოყენებითა და მაღალპროდუქტიული მცენარეების შერჩევით. დიდი როლი ენიჭება დარგის განვითარებას მთიან რეგიონებში, სადაც ადგილობრივი ჯიშებია მოშენებული. მიზანშეწონილია ამ რეგიონებში ბიოპროდუქციის წარმოება. მეძროხეობის შენონასწორებული, დინამიკური განვითარების პრობლემის წარმატებით გადაჭრა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

ცენტრი დიდ ყურადღებას აქცევს **ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერების** მიღწევების პროპაგანდას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დოქტორ ლევან ტიელიძის მოხსენება „საქართველოს მყინვარების დინამიკა კლიმატის ცვლილებების ფონზე“; სამუშაოები შესრულებულია რუსთაველის ფონდის გრანტის დაფინანსებით, გამოცემულია 3 მონოგრაფია ქართულ

და ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის დეკემბერში ლ. ტიელიძე არჩეული იქნა აკადემიის სტიპენდიატად. ასევე საინტერესო მოხსენება „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ინოვაციური ტექნოლოგია ენტომოპათოგენური ნემატოდების ბაზაზე“ წაიკითხა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტი მარიამ ჩუბინიშვილმა, რომელმაც პრეზენტაციაში წარმოადგინა რამდენიმე სამეცნიერო გრანტში მონაწილეობის შედეგად მისი თანაავტორობით გამოყოფილი ენტომოპათოგენური ნემატოდების *Steinernema feltiae*-ს „ქართული შტამი“, რომლის ბაზაზე შექმნილია ნემატოდური ბიოპრეპარატის ექსპერიმენტული პარტიები. ბიოტექნოლოგიური ფორმულაცია შეტანილია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში სახელით – „Geo-nema“, რომელიც ქიმიური ინსექტიციდის ალტერნატივას წარმოადგენს.

როგორც ცენტრის სხდომებზე, ასევე სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები გაიგზავნა ხელისუფლების ორგანოებში. ფართოვდება აკადემიის თანამშრომლობა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან მათთან გაფორმებული მემორანდუმების ჩარჩოებში. ცენტრი აქტიურად მონაწილეობს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწყობილ „თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ღონისძიებათა ორგანიზებასა და ჩატარებაში. ინოვაციების გამოფენაზე აკადემია წარმოდგენილი იყო მაქსიმალური რაოდენობის საგამოფენო სტენდებით.

ცენტრის სხდომების მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, მონვეული მეცნიერები და სპეციალისტები, ახალგაზრდა მკვლევრები და სტუდენტები.

# უცხოელები საქართველოს შესახებ



## ჯონ სტეინბეკი

ქვემოთ, შესავალი წერილის და გადმოქართულებული თხზულების შემცველი, ბამოქვიპენაპის (პუბლიკაციის) თავისებურება ის არის, რომ მისი **ღანერილოზა (ტექსტი)** მთლიანად ქართულია. ქართულ ენაში დაშვებულნი არიან ისევე, ალმოსავლური თუ დასავლური წარმოშობის უცხოური სიტყვების, მონახულია მისი ქართული, ერთი შეგნული და ერთი სვანური შესატყვისი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, საბჭოთა კავშირში ორმოცი დღე დაჰყო გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ სტეინბეკმა (1902-1968). მას ამ დროს უკვე გამოცემული ჰქონდა **ამბურები** (რომანები) „ტორტილა ფლეტი“ (1935) და „მრისხანების მტევნები“ (1939) {პულიცერის **ფასჩინება** (პრემია), 1940} მაგრამ ნობელის ფასჩინების მფლობელი ჯერ კიდევ არ იყო. სტეინბეკს თან ახლდა გამოჩენილი **მნათგადამლები** (ფოტოგრაფი) რობერტ კაპა, რომელიც იმხანად შექმნილ მნათგადამლებთა საერთაშორისო გაერთიანება „მაგნიუმს“ ხელმძღვანელობდა. მოგზაურებს გადანყვეტილი ჰქონდათ დაწერილობაში და **მნათებში** (ფოტოებში) მოცემული ცნობებით საბჭოთა მოქალაქეების ნამდვილი, შეუფერადებელი ყოფა-ცხოვრების ჩვენება. ამ მიზნით მოიარეს მოსკოვი, ლენინგრადი, სტალინგრადი, კიევი და უკრაინის რამდენიმე სოფელი. ბოლოს ათი დღით საქართველოს ესტუმრნენ, გაეცნენ თბილისს, მცხეთას, გორს და ბათუმს. აქეთ-იქითობისას რამდენიმე საათი დაჰყვეს სოხუმის **ქროლსადურში** (აეროპორტში), რომელიც მაშინ მოსკოვ-თბილისის შორის საფრენოსნო მიმოსვლის ერთ-ერთ შუალედურ რგოლს წარმოადგენდა. ისინი პირველი ამერიკელები იყვნენ, ვისაც საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყნის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების ავ-კარგში შედარებით თავისუფალი ჩახედვის ნება დართო. საბოლოოდ, რობერტ კაპას მიერ გადაღე-

ბული მოგზაურობის ამსახველი **მნათსართაულებით** (ფოტოილუსტრაციებით) შემკულ თავის შთაბეჭდილებებს სტეინბეკმა სათაურად „რუსული დღიური“ დაარქვა და 1948 წელს ამერიკის შეერთებულ **მხარეებში** (შტატებში) გამოაქვეყნა. მოგონებების ღერძი, საქართველო და იქ გატარებული დღეები. ალბათ არავის ისე თბილად და ალტაცებით არ ულაპარაკია საქართველოზე, როგორც სტეინბეკს. მისი ვრცელი „რუსული დღიური“ უკვე ქართულ ენაზეც გამოიცა. ამიტომ მე ქვემოთ თხზულების იმ ნაწილის გადმოქართულება ვცადე, რომელიც თავისუფალი სათაურით „ჩემი ქართული დღიურიდან“, 1961 წელს, ციურიხში გამოშვებულ გერმანულენოვან **მოამბე** (ჟურნალ) „ატლანტისის“ საქართველოსადმი მიძღვნილ ოქტომბრის **რვეულში** (ნომერში) დაიბეჭდა, როგორც ნამყვანი გამოქვეყნება. მასში შესული ძირითადად „რუსული დღიურის“ მე-7 და მე-8 თავებიდან ამოღებული საქართველოს შემხები დაკვირვებები, ინგლისურიდან გერმანულად გადმოიღო ფ. ბელმონმა. „ატლანტისის“ ქართული რვეულის მომზადების საქმეში ფ. ბელმონს და კიტა ჩხენკელს – იმჟამად ციურიხის **ნაირსასიბრძნოში** (უნივერსიტეტში) მოღვაწე დიდ ენათმეცნიერს – მრჩევლების მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული. თხზულებიდან ქართული ადგილების გამოცალკევება და შესამება, უთუოდ მათი ერთობლივი გარჯის ნაყოფია. კიტა ჩხენკელის მახვილი თვალი თვითონ გამოქვეყნებაშიც ჩანს, რადგან მასში გასწორებულია ინგლისურ დედანში არსებული რამდენიმე შეცდომა, რომლის შენიშვნაც მხოლოდ ქართველს შეეძლო.

„ატლანტისის“ ამავე რვეულში შემოკლებით დაიბეჭდა ციურიხიდან არცთუ დიდად დაშორებულ ჟენევაში მცხოვრები გრიგოლ რობაქიძის **ხელდასხმითი განჭვრეტა** (ეზოტერული მედიტაცია) „ქართველთა მსოფლხატის შესახებ“. მწერალი გამოქვეყნებით მაინც კმაყოფილი დარჩა. მაგრამ მას არ მოეწონა კურტ ჰოპფის წერილი „საქართველოს ლიტერატურა“ და იმითაც გაბრაზებულმა, რომ ქართულ მწერლობაზე მიმოხილვის დაწერა არა მას, არამედ სხვას – მისი აზრით საქმეში ჩაუხედავ კაცს – დაევალა, „ატლანტისის“ ცხარედ შეუტია. ეს კარგად ჩანს მწერალ გიორგი გამყრელიძისთვის მის მიერ ამერიკაში გაგზავნილი წერილიდან (16.11.1961):

*„ატლანტისის“ რედაქტორს გაუგზავნე შენიშვნები: ორი ბარათი. ასლები ამ ბარათისა გაუგზავნე კიტა ჩხენკელს (...) გაუგზავნე ამ მინაწერით: „ციურიხში ამზადებენ საქართველოს რვეულს და გრიგოლ რობაქიძეს ქართულ ლიტერატურაზე არ ეკითხებიან?! როგორ გესმით ეს თქვენ – თქვენ მრჩეველს?!“ ალბათ „მოხვდა“, არ მიპაუხა. მიპასუხა Belmont-მა. პასუხი, ცხადია, კ. ჩ. მიერ არის ნაკარნახევი*



*(...) გიგ ზავნი ასლს ჩემი პასუხისა Belmont-ისადმი (იგულისხმება კ. ჩ.-სადმიც). პასუხი – დანახავ – გამანადგურებელია. ტონი, რასაკვირველია, დავიცავი ისეთი, როგორც მე შემეფერება (ასეთს შემთხვევაში)".*

ვერ ვიტყვით შერიგდნენ თუ არა ნაჩხუბებულები, მაგრამ როდესაც ამ ამბიდან ერთი წლის თავზე გრიგოლი გარდაიცვალა, კიტა ჩხენკელი იმ ცხრა გაუხარებელ ქართველში ერთია, ვინც გატანჯულ მოხუც მწერალს უჭირისუფლა და უკანასკნელ სამყოფლამდე მიაცილა. რაც შეეხება სტეინბეკის ქართულ დღიურს, გრიგოლ რობაქიძე მისით აღფრთოვანებული დარჩა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავისი სიხარული სხვასაც გაუზიარა.

ჯონ სტეინბეკის „რუსული დღიური“ საბჭოთა კავშირში 1990 წლამდე არ დაბეჭდილა. ვერც დაიბეჭდებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ მასში მოცემულია ლენინის გარკვეული განსჯა (კრიტიკა) და ტროცკის ასევე გარკვეული ქება. **ნამყოებით** (ისტორიულ) ჭრილში სტალინის ქება, მაგრამ სინამდვილის ჭრილში მისი განსჯა. ტროცკის ქება ნიკიტა ხრუშჩოვს, ვისაც დღეს არაერთი წყარო ტროცკისტად მიიჩნევს, ვერ შეაჩერებდა, მაგრამ გამოცემა არც მის დროს განხორციელდა. თხზულებაში არის რუსეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ისეთი ადგილი, რომელიც მსუბუქი **ცინველით** (იუმორით) იწყება, **უჩინდაცინვაში** (ირონიაში) გადადის, მსუსხავ **გაკილვად** (სატირად) ვითარდება, დაუნდობელ **აბურჩაგდებად** (ცინიზმად) იქცევა და გამანადგურებელი **ღვარძლით** (სარკაზმით) მთავრდება. შეიძლება იმდენი იცინო, რომ ბოლოს თვალებიდან ცრემლები წაგსკდეს. ამასთან არც საქართველოს და ქართველობის სხვებზე ეგზომ აღმატებული წარმოჩენა მოეწონებოდა, რომელსაც გნებავთ, გამოცემისთვის პასუხისმგებელ პირს.

ამერიკიდან გამოფრენის წინ მოგზაურებმა „ფიცი დადეს“, რომ **მიზანგათვლას** (პოლიტიკას) საერთოდ გვერდს აუვლიდნენ, განზრახ განსჯასაც თავს აარიდებდნენ და მხოლოდ მაშინ განსჯიდნენ თუ განსასჯელს რასმე ნახავდნენ. ამ ჭრილში ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ მნათებს, განსაკუთრებით კი **მნათმსახურებას** (ფოტოაპარატს), „მას ხომ წინასწარი შეხედულებები არა აქვს და იმას აღბეჭდავს, რასაც ხედავს“.

საქმისადმი ასეთი მიდგომისას მნათგადამღები მოგებული რჩებოდა მწერალთან. კაპას, როგორც დიდ ხელოვანს, წარმოუდგენელი ხარისხის მნათების გადაღება შეეძლო. რაიმე საძრახისს ის ვერ გადაიღებდა, რადგან წინასწარ იცოდა, რომ საბჭოთა უშიშროების სამსახური მთელ მის ნამუშევარს გულდაგულ გადაამოწმებდა.

სტეინბეკს ჩანანერებს არავინ გაუჩხრეკდა, მაგრამ თუ წერის **მედინში** (პროცესში) გრნობასაც არ ჩართავდა, მარტო ხედვით ვერას გახდებოდა. საბოლოოდ **აღლოებამ** (ინტუიციამ) მწერალს გარემოს გამახვილებული აღქმისკენ და აღსანერი ვითარების გამძაფრებისკენ მოუწოდა, რაც წარმატების მისაღწევად გადაამწყვეტი გამოდგა.

ამგვარად, წინასწარი აკრძალვებით შებოჭილი ორი მიუწვდომელი დონის **დარგმოსაქმის** (პროფესიონალის) იდუმალი მეტოქეობის შედეგად, 70 წლის უკან, ან უკვე გამქრალ საბჭოთა კავშირზე შეიქმნა დიდად **საპრიანო** (საინტერესო) **დასართაულებული** (ილუსტრირებული) თხზულება „რუსული დღიური“, რომელსაც თავისი ღირსებები დღესაც არ დაუკარგავს.

1962 წელს ჯონ სტეინბეკს ნობელის ფასჩინება მიენიჭა მთელი მისი შემოქმედებისთვის, კერძოდ კი, როგორც მიმნიჭებლები მოკლედ აღნიშნავენ: „მისი იშვიათი რეალისტური და ფანტაზიებით მდიდარი თხრობის სტილისათვის, რომელიც გამორჩეულია იუმორითა და სოციალური გამჭრიახობით“.

1963 წელს ამერიკის **მთავარმეთაურის** (პრეზიდენტის) ჯონ კენედის თხოვნით, სტეინბეკი, მეუღლესთან ერთად, ისევ ესტუმრა საბჭოთა კავშირს. იმყოფებოდა საქართველოშიც და, როგორც ირკვევა, ამჯერადაც დიდად ნასიამოვნები დარჩა. სტეინბეკი **ნამდვილადმქმელი** (რეალისტი) მწერალი იყო და შესანიშნავად იცნობდა ცხოვრებას. შრომას ჯერ კიდევ სიჭაბუკეში შეეჩვია კალიფორნიაში, დიდად ნაყოფიერი მიწით გამოირჩეულ პატარა ქალაქ სალინასში, სადაც ის დაიბადა. შრომობდა ძირითადად მესაქონლეობის ადგილობრივ მეურნეობებში, სხვადასხვა ეროვნების ხალხთან, მათ შორის, ამერიკაში სამუშაოს საძებნელად ჩამოსულ **ხიზნებთან** (ემიგრანტებთან) ერთად. გამოცდილება, რომელიც მან იმხანად დააგროვა სრულად გამოიყენა თავის ნაწარმოებებში. წერა ადრევე დაიწყო. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, 17 წლის ჭაბუკი სტენფორდის ნაირსასიბრძნოში შევიდა უმაღლესი განათლების მისაღებად სადაც, შესვენებებით, ექვსი წელი სწავლობდა. და რადგან მშობლები დიდად ვერ ეხმარებოდნენ, თავს ადგილობრივ სასაბჭოთაო თეფშების რეცხვით ირჩენდა. მოგვიანებით მან თვითონ აღიარა, რომ იმ წლებში მას ჰქონდა „ძალიან დიდი ამბიციები და ძალიან ცოტა ფული“. ნაირსასიბრძნო საბოლოოდ მაინც არ დაამთავრა, რადგან ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ სწავლას ძალიან ბევრი დრო მიჰქონდა და წერისთვის ველარ იცლიდა.

რად არ მუშაობდა, სხვადასხვა დროს, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილი ახალგაზრდა: გამყიდვლად, **მოყურადღედ** (დარაჯად), შავ მუშად. მტვირთავადაც, თანაც როგორად, დღეში 12 საათი და კვირაში 7 დღე შაქრით სავსე ტომრებს ეზიდებოდა. თანდათან ხელი მიჰყო სმას და **გამტაც მორინებსაც** (აზარტულ თამაშებსაც) დაუმეგობრდა. ერთი სიტყვით, მოინდომა, რომ ცხოვრების სიკეთებს და ბნელ მხარეებს თვითონ, პირადად გაცნობოდა და არა მხოლოდ სხვებისგან მონაყოლი ცოდნოდა.

რიცხვი სამი მის ცხოვრებას გარკვეულწილად თან სდევდა. პირველმა სამმა ამბურმა: მას წარმატება ვერ მოუტანა; მწერალი სამჯერ იყო დაქორწინებული – კეროლ ჰენინგზე 1930-1941, გვენდოლინ კონგერზე 1943-1949, ელანი ანდერსენ სკოტზე 1950 -1962,



სრული გამოქვეყნდა მოამბე „ჩვენ მწერლობაში“ (N 26, 2008), შემოკლებული კი **ქსელმემკონში** (ინტერნეტში), ლიტერატურის მუზეუმის მიერ. ქვემოთ მომაქვს წერილის სრული ნაირსახე, რომელშიც ამოღებული ნაწილი გადახრილი და გამუქებულია.

*ზარათი ყოლასი წაღირაძის*

*ძვირფასო მეგობარო: თბილისში თქვენთან სტუმრობის შემდეგ შინ დაბრუნებულ მე და ჩემს მეუღლე ელანის თქვენ და თქვენი დიდებული ქალაქი ფიქრებიდან აღარ გვშორდებით. რაც რამ თბილი და აღმტაცებელი გამოგვატა-*

### ჯონ სტეინბეკი და ირაკლი აბაშიძე სალამურზე დაკვირვას

რომელიც მას ჰოლივუდის დედოფალმა ავა გარდნერმა გააცნო. და ა. შ. უცნაური ისაა, რომ სტეინბეკმა ყველაზე მცირე ხანი მერე ცოლთან დაჰყო, თუმცა შვილები (ორი ვაჟი) მხოლოდ მასთან ჰყავდა. 1935 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ტორტილა ფლეტი“ გამოსცა, **ნივთიერად** (მატერიალურად), სტეინბეკის და კეროლ ჰენინგის ცხოვრება იქამდე მოგვარდა, რომ საკუთარი სახლის შენებაც კი დაიწყეს. ამ დროს მწერალი 33 წლისა გახლდათ.

სულ ჯონ სტეინბეკი საბჭოთა კავშირში ოთხჯერ იყო: 1936, 1937, 1947 და 1963 წლებში. აქედან ორჯერ საქართველოსაც ესტუმრა.

საქართველოში პირველი ყოფნისას სტეინბეკი და კაპა მწერალთა კავშირშიც მიიწვიეს, მაგრამ ამის შესახებ ცოტა რამ თუა ცნობილი. 1963 წელს სტეინბეკი არაერთ მწერალს შეხვდა. მათ შორის: ირაკლი აბაშიძეს – იმჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ვახტანგ ჭელიძეს, ვინც მოგვიანებით შესანიშნავად გადმოაქართულა „ტორტილა ფლეტი“, ნიკო ყიასაშვილს, კოლაუ ნადირაძეს... არავინ იცის, ვინ დაუდგა თავდებად ცისფერყანწელ მგოსანს (საფიქრებელია, რომ ირაკლი აბაშიძე), მაგრამ **უცილობაა** (ფაქტია), რომ ჯონ სტეინბეკის და მისი მეუღლის ელანი სკოტის საპატივცემულოდ კოლაუ ნადირაძემ თავის სახლში წვეულება გამართა, რაც განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა. უკანასკნელ ხანებში ირკვევა, რომ, მოგვიანებით სტეინბეკმა კოლაუ ნადირაძეს სამადლობელი წერილი გამოუგზავნა და ზედ მის მიერ სტოკჰოლმში ნობელის ფასჩინების გადაცემის დღეს წარმოთქმული სიტყვა დაურთო. როგორც ჩანს, გზავნილი უშიშროების სამსახურმა ჩაიგდო ხელში, სანობლო სიტყვა გააქრო ხოლო ამერიკელი მწერლის სამადლობელი წერილი დამუშავა, ის ნაწილი, რომლის გახმაურებაც მიზანშეუწონლად მიიჩნია, წერილიდან საერთოდ ამოიღო, რაც დარჩა რუსულად თარგმნა (რამიც მოსკოვის და თბილისის საერთო ხელი ჩანს) და **მიმღებს** (ადრესატს) ისე გადასცა. ყოველ შემთხვევაში, კოლაუ ნადირაძის **დასატოვარში** (არქივში) წერილი შემოკლებული სახით აღმოჩნდა. ამჟამად მოძიებულია წერილის ორივე ნაირსახე:

*ნა თქვენმა ქალაქმა ჩვენი ხსოვნიდან არასდროს ამოიშლება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვექონდა კამათიც და განსხვავებული შეხედულებებიც გამოვთქვით, მაგრამ ამას ჩვენს მეგობრობაზე არ უმოქმედია. ჩვენმა კამათმა დამარწმუნა, რომ კარგი ადამიანები ყოველთვის ერთსა და იმავეს ესწრაფვიან. ჩვენ მხოლოდ მიზნების განხორციელების საშუალებები წარმოგვიდგენია ცოტა სხვაგვარად. ამიტომ მუდამ უნდა ვეცადოთ, რომ საშუალებებმა მიზნები არ გააბუნდოვანონ. ნიშნად იმისა, რომ მე ვაფასებ ჩვენდამი თქვენს დამოკიდებულებას, გიგზავნით ასლს ერთადერთი სიტყვისა, რომელიც მე ერთხელ უკვე წარმოვთქვი და შეიძლება განმეორებითაც წარმოვთქვა. მნამს, რომ ამ მიმართებით ეს სიტყვა უნიკალურია. ამისდა მიუხედავად, ახლა რომ მისი შესწორება შემეძლოს, ალბათ მწერლის მოვალეობებს გავაფართოვებდი და მას სამყაროს ოდნავ მეტი მზიარულებით, სილალით და სიცილით აღავსებას დავაკისრებდი. ამით არაფერი დაშავდებოდა. ხომ საყოველთაოდ დადასტურებულია, რომ კაცები მაშინ პოულობენ საერთო ენას, როდესაც ერთად იცინიან. მაგონდება თბილისში ერთად ძალიან ბევრს რომ ვიცინოდით, ვცეკვავდით და ვმღეროდით. იმედი გვაქვს, როდესმე თქვენც გვესტუმრებით. შევეცდებით, ისეთივე გულუხვობით და ხელგაშლით დაგვხვდეთ, როგორითაც თქვენ გვიმასპინძლეთ. ამ სურვილებში ელანიც მიერთდება. გისურვებთ ბედნიერებას და ჯანმრთელობას.*

*თქვენი მეგობარი ჯონ სტეინბეკი 9 მაისი 1964 წელი*

დავასრულებ შესავალს გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით წერილიდან, რომელიც მან გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, 1962 წლის 13 ნოემბერს, კალისტრატე სალიას ჟენევიდან პარიზში გაუგზავნა:

**„ძვირფასო კალე! (...) ჯონ სტეინბეკ. გეცოდინება: არგუნეს ნობელის პრემია. კარგი იქნებოდა, პარიზის ქართველობა მილოცვას გაუგზავნიდეს მას. მან ხომ ცამდე აიყვანა ქართველები („Atlantis“, ოქტ. 1961) შინაგანი წვდენით! მე ცალკე გაუგზავნი“.**



### ჰონ სტიინგაჰი

## ჩემი ქართული დღიურიდან

სადაც კი ვიყავით საბჭოთა კავშირში, – მოსკოვში, უკრაინაში თუ სტალინგრადში, – კვლავ და კვლავ გრძნეული სახელი „საქართველო“ გვესმოდა. ადამიანები, ვინც იქ ჯერ არასდროს ყოფილან, და შეიძლება ვერც ვერასდროს მოხვდნენ, საქართველოზე, ლამის მონატრებით აღსავსენი, დიდი აღტაცებით საუბრობდნენ. ისინი ქართველებზე ლაპარაკობდნენ, როგორც ზეადამიანებზე: დიდ მსმელებზე, დიდ მოცეკვავეებზე, დიდ მომღერლებზე, დიდ მშრომელებზე, დიდ მეტრეფეებზე (მიჯნურებზე), ხოლო კავკასიაში, შავი ზღვის პირას მდებარე ამ ქვეყნას წარმოიდგენდნენ, როგორც ზეცის ნაირსახეობას. და ჩვენ თანდათან დავიწყეთ დაჯერება, რომ უმრავლესობა რუსებისა იმედოვნებს, რომ თუ ჯეროვნად და მართებულად იცხოვრებს, სიკვდილის შემდეგ არა ცაში, არამედ საქართველოში მოხვდება. ქვეყანა ბუნებით მართლაც რომ დაჯილდოებულია, აქვს დიდად ნაყოფიერი ნიადაგი და საკუთარი პატარა ზღვა. სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურება საქართველოში მოგზაურობით საჩუქრდება. ამის გარდა ის გაჯანსაღების და დასვენების უებარი კერაა.

საქართველო მართლაც ლამაზი ქვეყანაა. მთები აქ ზღვის კიდემდე ეშვებიან, ხოლო ფერდობებზე ლამაზი ხეები ხარობენ: შავი კვიპაროსები და სქელფოთლოვანები. გორაკებს შორის სოფლები და სამკურნალო დანესებულებების შენობებია განლაგებული. ეს ადგილები შეიძლება კალიფორნიის სანაპიროებად წარმოგვედგინა, ოღონდ შავი ზღვა არ არის ქარიშხლიანი და ველური, როგორც წყნარი უშრეტო ზღვა (ოკეანე) და არც მისი სანაპიროები კლდოვანი. აქ ზღვა საკვირველად მშვიდია და ლურჯი, ნაპირები კი სწორი და ქათქათა.

ჩვენი თვითმფრინავი დიდხანს მიფრინავდა სანაპიროს გასწვრივ, ვიდრე სოხუმში, ზღვის კიდეზე განოლილ ხასხასა მწვანე

ბალახის ვიწრო ზოლზე დაჯდებოდა. ქროლსადგური (აეროპორტი) ევკალიპტის ხეებით იყო გარშემორტყმული, რომლებიც საბჭოთა კავშირში პირველად აქ ვიხილეთ. ხუროთმოძღვრება ირგვლივ აღმოსავლური ჩანდა, გარემოს ყვავილები და აყვავებული ხეები ამკობდნენ. პატარა ქროლსადგურის წინ რამდენიმე ქალი ხილს ყიდდა: ყურძენს, ნესვს, ლელვს, გაკრიალებულ ატამს და საზამთროს. ჩვენ ყურძენი, ატამი და ლელვი ვიყიდეთ. ამ მხრივ, არც ხილს დანატრებული ჩვენი ჩრდილოელი თანამგზავრები ჩამოგვრჩნენ. ბევრი მათგანი ჭარბი ჭამისგან მოგვიანებით ცუდადაც გახდა.

ქართველები სრულიად სხვაგვარად გამოიყურებიან. ისინი შავგვრემანები არიან და თითქოს რალაცით ბოშებს გვაგონებენ: ქათქათა კბილებით, გრძელი, ლამაზად მოყვანილი ცხვირებით, შავი დატალღული თმებით. ლამის ყველა მამაკაცი უღვაშს ატარებს. კაცები გარეგნობით ქალებს ჩაგრავენ. ისინი დაძარღვულები და ძლიერები არიან და აქვთ შავი, მოელვარე თვალები. წაგვიკითხავს და ჩვენთვის სხვებსაც უამბიათ, რომ ქართველი ხალხი ძირძველი ხალხი უნდა იყოს, სადაურობით ევფრატის ხეობიდან მოსული იმ ხანაში, როდესაც ბაბილონი ჯერ კიდევ არ არსებობდა; ისინი შუმერების მონათესავე, დედამიწაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი მოსახლეები უნდა იყვნენ: ცეცხლოვანი, ამაყი, მგზნებარე და მხიარული. რუსები მუდამ აღტაცებული ლაპარაკობენ ქართველების ძალგულოვნებაზე, ცხოვრებით ტკბობის ჟინზე, უნარიანობაზე და მათ დიდ მხედრებს და მებრძოლებს უწოდებენ. მგოსნურ (პოეტურ) ხელოვნებაში, სიმღერაში და ცეკვაში განდობილი ქართველები ისევე, როგორც ადრინდელ ხანაში, დიდი მეტრეფენიც არიან. უცილობაა, რომ ისინი ისეთ ქვეყანაში ცხოვრობენ, რომელსაც ბუნებამ უპირატესობა


მიანიჭა და ასევე უცილობაა, რომ მათ ამისთვის ათასწლეულები უნდა ეომათ.

ჩვენ რბოლერით (ავტომობილით) მივქრით მშრალი დაბლობის ზედაპირზე მთებს შორის მოქცეულ გასასვლელისკენ, სადაც, წინარე ხანიდან მოყოლებული, ძველი ხალხები გადაადგილდებოდნენ. დღეს ამ გასასვლელში თბილისი ჩანოლილა, მშვენიერი ქალაქი, რომელზეც ახალი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნიდან სამხრეთის და ჩრდილოეთის დამაკავშირებელი მთავარი გზა გადიოდა. გორაკების ჯაჭვებს ორსავე მხარეზე ძველი სიმაგრეები უჭირავთ, თვითონ ქალაქს კი კლდის თავზე მდგარი ნარიყალას ციხე-სიმაგრე დაჰყურებს. ხეობის მეორე მხარეზე მეტეხის ციხე-სიმაგრე დგას. აქ როსმე დიდ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი და ციხე-სიმაგრეებიც ამიტომ აღიმართა.

ქალაქის შუაში მდინარე მტკვარი მიედინება, ერთ ნაპირზე მაღალი კლდეებით. სანაპირო კლდეებზე ძველი, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი სახლები დგანან. მაშინ, როდესაც მოსკოვი წელს (1947) რვაას წლისთავს აღნიშნავს, თბილისი მომავალ წელს აღმოცენების ათას ხუთას წლისთავს იზეიმებს. და მაინც, თბილისი საქართველოს შედარებით ახალი დედაქალაქია. ძველი დედაქალაქი მცხეთა, რბოლერით ნახევარი საათის სავალზე, ორი მდინარის, მტკვრის და არაგვის, შესართავთან მდებარეობს.

ხეებით დაჩრდილულ თბილისის ფართო გამზირებზე ბევრი თანამედროვე შენობაა. გზები გორაკის ორივე მხარეს ზევითკენ მიცოცავენ. ყველაზე მაღლა, მთაწმინდაზე, აღმოსავლეთით გასართობი მერუდეა (მოედანია) მოწყობილი და სერტყი (პარკი) მდებარეობს, დიდი სალხინოთი (რესტორნით). იქიდან მთელი ხეობა მოჩანს. ამ ხედებთან სრულ შეუსაბამობა შია კლდის წვერზე, სწორედ ქალაქის შუაგულში აღმართული





საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე სიონში წირვის დროს. რობერტ კაპას ფოტო. 1947 წ.

ვეებერთელა, შეუხედავი **ხმოვან-გადამცემი** (რადიოგადამცემი) ან-ძები და ნახევრად დაშლილი და შიშის მომგვრელი ქალაქის ციხესიმაგრის დამცველი ზღუდეები.

ქალაქში და მდინარის სანაპიროზე არაერთი ძველი საყდარი დგას, **მაცხოვრელობა** (ქრისტიანობა) საქართველოში ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში შემოვიდა. მაშინ აგებული საყდრები დღესაც მოქმედებენ. თბილისი მრავალი ძველი ამბის და, შესაძლოა, მრავალი ძველი მოჩვენების ქალაქია. აქ ყვებიან ირანის **ზენარშემწირველი** (მაჰმადიანი // ისლამისტი // მუსულმანი) მეფის ამბავს, რომელმაც თბილისს მეომრები შემოახვია და ქალაქის დატყვევებული მოსახლეობა მდინარეზე გადებულ ხიდთან მოაყვანიდა. იქ ღვთისმშობლის ხატი გამოატანინა და განაცხადა, რომ ყოველ დატყვევებულს გაანთავისუფლებდა, ვინც ღვთისმშობლის ხატს შეაფურთხებდა. ხოლო ვინც ამას არ გააკეთებდა. თავს მოჰკვეთდა. გადამოცემა ამბობს, რომ იმ დღეს მდინარეში ათასობით მოკვეთილი თავი ჩაცვივდა.

თბილისის მოქალაქეებს უკეთესად აცვიათ. უკეთესად გამოიყურებიან და უფრო სიცოცხლით სავსენი არიან იმათთან შედარებით, ვინც რუსეთში ვნახეთ. აქ ირგვლივ მხიარულება და ფერადოვნება სუფევდა. ტანსაცმელი სიკოხტავით გამოირჩეოდა. ქალებს ფერადი თავსაფრები ეხურათ.

ქალაქი დაუჯერებლად მოვლილია. ეს არის პირველი მოვლილი აღმოსავლური ქალაქი, რომელიც კი მე მინახავს. ქალაქის შუაზე გამყოფ მდინარეში ასობით ბავშვი დაცურავს. არსად არ ჩანს ნგრევის კვალი. მხოლოდ ძველი შენობებია ჟამისგან ხელყოფილი.

დილითადრიანად ავდექით. ქალაქით მონუსხულებს, გვსურდა მისი დიდი ნაწილი გვენახა. ჩვენი მძლოლი, ქარში ველურად მოფრიალე თმით, დიდებული ვინმე გამოდგა, ყოფილი ცხენოსანი, ახლა უკვე ცხენიდან „ჯიპში“ გადამჯდარი. მას უყვარდა თავისი „ჯიპი“, რადგან მისით სანთელივით სწორ აღმართებზე შეეძლო აცოცება, კუთხოვან მოსახვევებში ქროლვით შესვლა, წყლის ჩასადენ არხებზე

გადახტომა. მდინარეში ჩაყვინთვა, ირგვლივ წყლის აჩქევებით და მეორე ნაპირზე გასვლა. რბოლერი გიჟივით დაჰყავდა. არავისი არ ეშინოდა. კვლავ და კვლავ მოაქცევდნენ ქუჩებში ქროლვისას აღშფოთებული სხვა მძლოლები ქართული სიტყვების მძაფრ კორიანტელში, ის კი მხოლოდ იცინოდა და ისევ წინ მიჰქროდა. ამ კაცმა ყველას თავი შეგვაყვარა. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც საბჭოთა კავშირში შევხვდით და ვისაც ისეთივე გრძნობები ჰქონდა საერთოდ **ძალდამცველთა** (პოლიციელთა) მიმართ, როგორც ჩვენ. მას არასდროს არ სურდა გაჩერებულ მდგომარეობაში ყოფნა.

ისარივით ავარდა მბრდღვინავი „ჯიპით“ ქალაქის უხნეს უბანში, სადაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ძველქართული ხის სახლები – იშვიათი შენობები ორსამსართულიანი, ფართო ლიობებით, უჩვეულო ხეზე კვეთით და მოხატულობით.

ჩვენ კლდის თავზეც ავედით ცოცვით. გვსურდა ახლოს გვენახა ძველი ციხესიმაგრე, თავისი

მურყვამებით და მაღალი, სქელი ზღუდეებით. რომ არა **დამეხება** (არტილერია), ეს სიმაგრე მტრისგან დაუძლეველი დარჩებოდა, რადგან მასზე შეტევის სხვა საშუალება არ არსებობს. ქალაქის **ცხელსარტყელური** (ტროპიკული) **ნალკოტიც** (ბალიც) დავათვალიერეთ, აყვავებული ხეებით და იშვიათი მცენარეებით, რომელთაგან ბევრს პირველად ვხედავდით. ნალკოტიც გრილოდა, რადგან გვერდით მდინარე მიედინებოდა.

თბილისში თავი უცხოვად არ გვიგრძნია. აქაურობას ხშირად სტუმრობენ და ამიტომ სტუმარი არ უკვირთ. ასე რომ, ჩვენ არ გამოვიყურებოდით თვალმისაცემ მოჩვენებებად, როგორც ზოგ ქალაქში ყოფნისას. აქ თავს მთლიანად საკუთარ სახლში ვგრძნობდით.

საყდრების სიმრავლე მიუთითებს, რომ თბილისი, ისევე, როგორც დღეს, ადრეც სარწმუნოებრივად შემწყნარებლური ქალაქი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობენ ებრაელთა არაბთა თუ სპარსთა ძველი სალოცავები, რომელთაგან არასდროს არცერთი არ განადგურებულა. მაღლა, მამადავითზე, საიდანაც მთელი ქალაქის ხედი იშლება, დგას ერთი სადა და ლამაზი **საყდარი** (ეკლესია), რომელიც როგორც მახსოვს მე-7 საუკუნეში უნდა იყოს აგებული. ჩვენმა მძღოლმა იქამდე მიგვიყვანა, სანამდეც „ჯიჰმა“ ასვლა შეძლო. დარჩენილი გზა ზემოთკენ, სვენებ-სვენებით, ფეხით განვვლეთ. მაღლა ბევრი ადამიანი დაგვხვდა, **საგანსვენებოს** (პანთეონის) მოსახილველად თუ მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად ამოსული.

ქართველ ხალხს ძალიან უყვარს ეს ძველი საყდარი და საგანსვენებო, რომელშიც დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეებია დამარხული. აქ უბრალო ქვის ქვეშ განისვენებს სტალინის დედა. განაპირას ერთი ხელოვნის საფლავთან სამი ასაკოვანი ქალი და ერთი ასევე ხნიერი მამაკაცი ისხდნენ და ძველებურ, წყნარ, გრძნეული იდუმალებით აღსავსე საგალობლებს მღეროდნენ.

საყდარში, სადაც ღვთისმსახურება ტარდებოდა, საგალობლები არ შეწყვეტილა. ხალხი ზევით მატარებლით ამოდიოდა და როგორც კი ბილიკით საგანსვენებომდე მოაღწევდა, იჩოქებდა და საყდრის კუთხეს კოცნიდა.

ეს იყო სამყაროს განაპირებული ადგილი, სავესე სიმშვიდით, ხოლო მის ქვემოთ, სიღრმეში, კრამიტის სახურავებიანი ქალაქი იყო ჩაფლული. ჩვენ **მცენარეთმცოდნეობით** (ბოტანიკურ) ნალკოტსაც ვესტუმრეთ, რომელსაც თამარ დედოფალმა ჩაუყარა საფუძველი, ღვთივკურთხეულმა დედოფალმა მე-12 საუკუნიდან, ვინც თბილისს გმირული ელფერი მიანიჭა. თამარი იყო ლამაზი და კეთილი სიამაყით და ცეცხლოვანი ძალით აღსავსე დედოფალი. მას მიმადლებული ჰქონდა სახელმწიფო მართვის და ზუროთმოძღვრების ცოდნა. აშენებდა ციხე-სიმაგრეებს და მფარველობდა მგოსნებს და მომღერლებს. – ეს იყო მსოფლიოს გაზღაპრებული დედოფალი, ელიზბეტის, კატარინა არაგონელის და ელეონორა აქვიტანელის მსგავსად.

როდესაც მამადავითიდან დაბლა ჩამოვედით, ზარების გუგუნმა დაჟინებით მოგვიხმო და ჩვენ ხალხით გაჭედულ სიონის **სავედრებელში** (ტაძარში) შევედით. სავედრებელი იყო მდიდარი და აღმოსავლური, დამშვენებული სიძველისგან და სანთელ-საკმევლისგან ჩამოქუებული მოხატულობებით. ღვთისმსახურებას თეთრთმიანი მოხუცი ატარებდა, თავზე ოქროს გვირგვინით და ისე ლამაზად გამოიყურებოდა, რომ არანამდვილი გეგონებოდა. ეს მოხუცი კაცი, **მღვდელმთავარუზენაესად** (კათოლიკოსად) წოდებული, საქართველოს **საყდრობის** (ეკლესიის) მეთაური გახლდათ და მისი სამოსელი ოქრომკედით იყო ნაქსოვი. ნამდვილი დიდებულება გამოსჭვივოდა ღვთისმსახურებიდან, ხოლო ხალხმრავალი გუნდის მღერა შეუდარებელი რამ იყო. სანთელ-საკმევლის სურნელება სავედრებლის მაღალ ჭერამდე აღწევდა, სადაც სარკმლებიდან მზე შემოდიოდა და იქაურობას შუქს ჰფენდა.

შესანიშნავი იყო თბილისის ზაფხულის ღამეები, ჰაერი რბილი, მსუბუქი და მშრალი. ახალგაზრდები ქუჩებში მშვიდად, უმიზნოდ დადიოდნენ და ერთობოდნენ. ვაჟებს მართლაც მოხდენილი სამოსელი ეცვათ: შიგადაშიგ ნელში გამოყვანილი მძიმე თეთრი **ჭიჭნაურის** (აბრეშუმის) მოსაცმელები, გრძელი **ძიქვები** (შარვლები) და მოქნილი შავი ფეხსაცმელები. ასე გამოიყურებოდა ქართველ მამაკაცების ძალიან ლამაზი მოდგმა.

ძველი სახლების მაღალი **კარსეებიდან** (აივნებიდან) ღამლამობით ხშირად ლარებიანი საკრავის თანხლებით მჟღერი იშვიათი სიმღერა გამოისმოდა. ხანდახან, რომელიმე ბნელი ქუჩაზე სალამურიც გაიწკრიბებდა.

ქართველები ჩვენ ყველაზე უფრო დაუძაბავ ხალხად მოგვეჩვენა იმ ხალხებს შორის, რომლებიც აქამდე გვინახავს, დაუძაბავი, სიამაყით, ცეცხლოვანი ძალით და მხიარულებით აღსავსე. შეიძლება ეს იყოს საფუძველი, რის გამოც რუსები მათით ასე აღტაცებული არიან, შეიძლება რუსებს სურთ, რომ სწორედ ასეთები იყვნენ.

მთებს ზემოთ, დასავლეთით, დამაფრთხობლად ვეებერთელა მთვარე ეკიდა, ქალაქს კიდეე უფრო ძველ იერს ანიჭებდა და **იდუმლივად** (მისტერიულად) წარმოაჩენდა. მთვარის წინ, კლდის თავზე ნარიყალის დიდი შავი ციხე-სიმაგრე აზიდულიყო. თუ სადმე მსოფლიოში აჩრდილები არსებობენ, ისინი აქ უნდა იყვნენ თავმოყრილი. და თუ თამარ დედოფლის აჩრდილი კიდეე არსებობს, მაშინ ის ამ მთვარიან ღამეს აქაურობის თავზე უნდა ტრიალებდეს.

ჩვენ ვიცოდით, რომ ქართველები თავიანთ მწერლობას დიდი მონივნებით აღიქვამენ. **მგოსნება** (პოეზია), სიმღერა და ცეკვა მათი დიდი შენატანია მსოფლიო **შვენილობის** (კულტურის) საგანძურში. მათ პირველდასაბამითი შრეებიდან აღმოცენებულ მგოსნებას არა მხოლოდ ზოგიერთი კითხულობს, არამედ თვითული: დიდი თუ პატარა. მთაწმინდის საგანსვენებოში ყოფნისას, ჩვენ ვიხილეთ, რომ მათ მგოსნებს ისეთივე სამარხები აქვთ,



როგორც მეფეებს. ხშირ შემთხვევებში მგოსნები ხალხის ხსოვნაში რჩებიან, მეფეები კი უკვალოდ ქრებიან. ხოლო ძველი დროის მგოსანს, რუსთაველს, ვრცელი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევლს, ქართველები ისე ეთაყვანებიან, როგორც ეროვნულ გმირს. მის ტაეებს კითხულობენ და იზეპირებენ, ბავშვებიც კი. მის ძეგლებს ირგვლივ ყველგან ნახავთ. ქართველებს მგოსნური ხელოვნების სიყვარული ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი და მის არ სიყვარულს ლამის დანაშაულად მიიჩნევენ.

საქართველოს ძველ დედაქალაქს ჩემთვის დღესაც ძნელად წარმოსათქმელი სახელი მცხეთა ჰქვია. მეხუთე საუკუნის **სავანე** (მონასტერი) დაჰყურებს ქალაქს მთის წვერიდან, სანახევროდ დანგრეული და დიდად შთამბეჭდავი. ჯვრის სავანეში რომ მოხვდეთ, თხების სავალ ბილიკს უნდა აჰყვე ცოცვით.

შიგ მცხეთაში თითბრით მორთული, დამცავი კედლებით შემოზღუდული, სვეტიცხოვლის ულამაზესი სავედრებელი იპყრობს მზერას.

ცოტა ხნის ცდის შემდეგ სავედრებლის მცველი გამოჩნდა – შავგვრემანი ქალი, დასამახსოვრებელი სახით და არწივის გამოხედვით. მას ეცვა შავი კაბა და ასევე შავი ბამბის თავსაფარი ისე ჰქონდა ყელზე შემოხვეული, რომ მხოლოდ პირისახე უჩანდა. მუქი თვალები თითქოს ღრმა ფიქრში იყო ჩაძირული. ქალი მსოფლიო **მხველის** (მონაზვნის) ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენდა. მან სავედრებლის კარზე ჩამოკიდებული საკეტი დიდი გასაღებით გააღო და ძველი დარბაზის ბინდ-ბუნდში შეგვიყვანა შავგვრემანმა ქალმა გვიამბო, რომ სვეტიცხოველის დიდი სავედრებლის წინამორბედი სამლოცველოს აგება მე-5 საუკუნეში დასრულდა. მანვე გვიამბო სავედრებლის დაარსებასთან დაკავშირებული უცნაური თქმულება. ერთი დაუჯერებელი ამბავი იმ ამბავთაგან, რომელსაც ასე ხშირად გაიგონებ აღმოსავლეთში.

ოდესღაც ამ ადგილებში ცხოვრობდნენ ორ ძმა და ერთი და. ერთ მშვენიერ დღეს მათ ციდან ჩამოესმათ და ქარმაც მოუტანათ ამბავი, რომ დაიბადა, ანუ ქვეყნიერებას ადამიანად მოევლინა, ძე ღვთისა. ციური ნიშნები და სიზმრები ატყობინებდნენ შემდგომ ამბებს მის შესახებ. ბოლოს მაცხოვრის ხილვის მოსურნე ძმებმა თავიანთი და მცხეთაში დატოვეს თვითონ კი იერუსალიმის გზას დაადგნენ. ძმებმა იერუსალიმში სწორედ მაცხოვრის ჯვარცმის დღეს ჩააღნიეს და ძე ღვთისა მხოლოდ მკვდარი იხილეს. დიდად დაღონდნენ საქართველოს მთებში მდებარე ხეობიდან მოსული ძმები. მათ გამოითხოვეს მაცხოვრის კვართის ერთი ნაჭერი და ის თავიანთ დას მცხეთაში ჩამოუტანეს. როდესაც დამ ჯვარცმის ამბავი გაიგო, დარდმა შეიპყრო. მაცხოვრის კვართი გულში მაგრად ჩაიკრა, ავად გახდა და ტკივილისგან გარდაიცვალა. ძმებმა სცადეს დის გაშეშებული ხელებიდან წმინდა ქსოვილის გამოხსნა, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს. ასე დაიმარხა მათი და, სამუდამოდ ჩაბლუჯულ წმინდა ქსოვილთან ერთად. დაიმარხა სწორედ იმ ალაგას, სადაც ახლა ეს დიდებული სავედრებელი – სვეტიცხოველი დგას. მალე, ბუნების ძალით, მისი სამარიდან ერთი მცენარე ამოიზარდა და უზარმაზარ ხედ იქცა. წლების შემდეგ, მაცხოვრის კვართთან დაკავშირებულ ამ მოვლენის აღსანიშნავად, ამ ადგილზე პატარა სამლოცველოს აგება გადაწყდა. მოვიდნენ ხისმჭრელები, მაგრამ მათი ნაჯახები ხეზე შემოკვრისას, ნაწილ-ნაწილ იმტვრეოდნენ. ბევრმა ინვალა, მაგრამ ვერცერთმა ხეს ნაფოტიც კი ვერ აათალა. ბოლოს, ციდან მოვლენილი ორი ანგელოზის შემწეობით, ხე წამოიქცა. ხოლო მის ადგილას სამლოცველო აშენდა. შავგვრემანმა ქალმა სვეტიცხოვლის შიგნით მდგარ უცნაურ, კარვის მსგავს თიხის ნაგებობაზე მიგვითითა და გვითხრა, რომ იქ მდებარეობდა საფლავი და თავის დროზე უზარმაზარი ხეც იქ იდგა. იქ, სიღრმეში, ეჭვსგარეშე, წმინ-

და მხველის ნეშტი განისვენებდა და ხელში ჯერაც ჩაბლუჯული ის ქსოვილი ეჭირა, რომელიც ოდესღაც მაცხოვარს მოსავდა.

ქალმა ჩვენ სხვაც რამ გვიამბო, მაგრამ ეს თქმულება საუკეთესო გამოდგა.

ქარი მოთქმით ტიროდა რკინის მოჭრიალე კარებში, ვიდრე ქალი ლაპარაკობდა. ბოლოს თქვა: თუმცა აქაურობა ახლა მიტოვებული ჩანს, მაგრამ წელიწადის სხვადასხვა დროს აქ ათასობით ადამიანი იყრის თავს და ეზო ისეა გადავსებული, რომ ვერც დასაჯდომად და ვერც სამოძრაოდ ადგილს ვერ იპოვნი. მაშინ ზოგიერთი ზღუდეებზე აცოცებასც კი ცდილობს. ასეთ სადღესასწაულო დღეებში წირვა ძველი სავედრებლის შიგნით მიმდინარეობს. მრავალი ძალიან შორიდან, ცხრა მთას იქიდანაც კი მოდის, რომ სხვებთან ერთად ილოცოს. გარეთ სავედრებელი კედლებზე მიმარებული პატარა სანთლებით არის გარშემორტყმული და მთელი ღამე ბრწყინავს.

ეს ადგილები ჯერ კიდევ მაშინ იყო **მაცხოვრული** (ქრისტიანული), როდესაც საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი წარმართობას მისდევდნენ. და აქ მოთხრობილ მაცხოვრულ თქმულებებსაც აღმოსავლური სურნელება დაჰკრავთ.

თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ეს გრძელი ხეობა **სიძველეთმცოდნეებისთვის** (არქეოლოგებისთვის) ნამდვილ სამოთხეს წარმოადგენს, რამეთუ აქაურობა ათასწლოვანი **შვენილობების** (კულტურების) ნაშთებით არის მოფენილი. მაღლა, კლდეებში, გამოკვეთილია ოთხკუთხა გამოქვაბულები, დღეს ყველაზე დამორებული ხანის სამარხები. აქაური მეცნიერები მთელი დრო მათი კვლევით არიან დაკავებული. სულ ახლახან აღმოჩნდა ზეთის ვეება ჭურჭელი, პირთამდე სავსე ერთი ადრინდელი მეფის ჯარის ხელფასად გასაცემი ოქროთი. მეფეს უეცრად დასხმიან თავს და იძულებული გამხდარა, რომ განძი ამ ადგილას დაემარხა. სიძველეთმცოდნეები ყოველდღე პოულობენ ხელოვნების საგნებს, რომლებიც



საქართველოს ნამყოფების ბნელ სიღრმეებში ჩაღრმავების საშუალებას იძლევიან, შვენილობის თვით წარმოუდგენელ საფეხურებამდე. მათ სიახლოვეს პომპეუსის ხიდის ბურჯები შედარებით ახალ **განლაგებად** (კონსტრუქციებად) ჩანან, ხოლო **დენსადგურის** (ელექტროსადგურის) კაშხალი პირდაპირ სიახლედ აღიქმება.

კაპამ ოთხი შესანიშნავის ერთ წრეში მოქცევა დააპირა: კაშხლის, ლენინის ძეგლის, მე-5 ს-ის საყდრის და შუმერული სამარხის სწორკუთხა მღვიმისა, მაგრამ გადაღების ნება არ მისცეს. უმთავრესი ამათგან აღმოჩნდა კაშხალი, რისი გადაღებაც არასასურველი შეიქნა.

ჩვენ კვლავ „ჯიპში“ ჩავსხედით და მძღოლმა ერთ-ერთ მახლობელ ხეობაში ზვრების სანახავად წაგვიყვანა. გვსურდა ის ვაზი გვენახა, რომლისგანაც ქართული ღვინო იწურება. იქაც ყოველ გორაკზე ციხე-სიმაგრე იდგა. მაღლით მარჯვნივ თუ მარცხნივ პატარა გლეხური მეურნეობები ჩანდნენ. ფერდობებზე ვენახები იყო შეფენილი. ხილის ნალკოტებიც გვხვდებოდა: ფორთოხლის, ვაშლის ქლიავის და ბლისა. გზა იყო ვიწრო და უსწორ-მასწორო, ალაგ-ალაგ ღელეებით გადაბანილი. ჩვენი მძღოლი აღტაცებისგან ნეტარებდა. ასეთი გარემო მას უყვარდა. კისრიტებით მიჰქროდა ვიწრო შუკებში და თან ჩვენ გვაკვირდებოდა: გვეშინოდა თუ არა. რა თქმა უნდა გვეშინოდა. ორივე ხელით ვიყავით ჩაფრენილი სახელურებს, რომ სიჩქარეს „ჯიპიდან“ არ მოვესროლოეთ. უცებ ისე შევარდა ღელეში, რომ წყალი ზემოდან გადაგვეღვარა და თავით ფეხებამდე დაგვასველა.

ბოლოს სახლების რიგთან გავჩერდით, შიგ ზვარში. ერთ სახლთან ასი ადამიანი მაინც იდგა, საუკეთესოდ გამოწყობილი. მაღლე ოთხი მათგანი სახლში შევიდა, იქიდან კუბო გამოიტანა და, სხვებთან ერთად, მიცვალებული მთისკენ ზიგ-ზაგით მიმავალ უკანასკნელ გზას გაუყენა. ვიდექით და მანამ გავყურებდით უკან, სანამ თანდათან დაპატარავებულმა სამგლოვიარო მსვლელობამ სასაფლაომდე არ ააღწია.

### კოლხეთის დაბლობზე ღამით მგზავროვის შემდეგ

დილით ძალიან ადრე გავიღვიძეთ, ახალ გარემოში, სრულიად განსხვავებულ ბუნებაში. ჩვენ აღმოვჩნდით ცხელსარტყელიან მხარეში, სადაც ტყეები პირდაპირ რკინიგზის ლიანდაგამდე იყვნენ შემოჭრილი და სადაც თბილისის და მისი გარემომოს მშრალი **აქროლისგან** (ჰაერისგან) განსხვავებით ნოტიო აქროლი ვისუნთქეთ. ჩაუვარეთ ყვავილებში და ფოთლებში ჩაფლულ პატარა სახლებს. ბორცვებზე აცოცებულ მოყვავილე ბუჩქებს, ირგვლივ გახარებულ ბანანის და ფორთოხლის ხეებს. ეს იყო განსაკუთრებულად ლამაზი და მდიდარი მიწა. პატარა მდელოებზე სიმინდი ხარობდა. ისეთი მაღალი, როგორსაც კანზასში ნახავ. ზოგან ორი ადამიანის სიმალლესაც კი აღწევდა. მინდვრები ნესვით იყო სავსე. დილაადრიან ფეხზე წამოდგარი ადამიანები თავიანთი **აქროლოვანი** (ჰაეროვანი) სახლების კარსებზე იდგნენ და ჩავლილ მატარებელს ათვალიერებდნენ. ქალებს ფერადოვანი სამოსი ეცვათ, ისევე, როგორც საერთოდ **ცხელსარტყელების** (ტროპიკების) მცხოვრებთ აცვიათ. თავზე ნითელი, ლურჯი, ყვითელი თავსაფრები ეხურათ. ქვედაბოლოებს მბრწყინავი არშიები და სირმები უმკობდათ. გავიარეთ ლერწმის და გვიმრის ტყეები და **გლარჯის** (თამბაქოს) მაღალი **განაშენები** (პლანტაციები). აქ სახლები ბოძებზე იდგნენ და პირველ სართულებს მაღალი კიბეები ჰქონდათ მიდგმული. სახლის ქვეშ ადრიან დილით უკვე ბავშვები და ძაღლები ცელქობდნენ.

გარშემოებას უმდიდრესი მცენარეული საფარი ფარავდა.

შემდეგ სურნე (ჩაის) განაშენებებიც ვნახეთ, ალბათ მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ნარგავები. სურნეს დაბალი ბუჩქნარი ერთ მხარეს დიდ სივრცეზე იყო გაშლილი, მეორე მხარეს კი გორაკის წვერამდე აღწევდა. დილაადრიან ქალების ერთი ჯგუფი სურნეს სამყურა, თოთო ფოთოლს წყვეტდა და მათი თითები ისე ფრთხილებდნენ, როგორც ტოტებს შორის ფრთხილებს პატარა ფრინველი.

### მიპატიჟება გლეხურ სახლში

ორი პატარა გოგონა გამოვიდა სახლიდან წყლის დოქებით ხელში. მათ ხელპირი დაგვაბანინეს და შესამშრალეზად ნითლით მოქარგული პირსახოცები მოგვანოდეს. შემდეგ სახლში შეგვიყვანეს. ფართო წინამოდან ერთ დიდ **მოდგურში** (ოთახში) შევედით. კედლები საკვირველი ფერების ქსოვილებით იყო მორთული. პურმარილის ხედმა კინალამ წაგვაქცია. დაახლოებით თოთხმეტი ნაბიჯის სიგრძის **დგამი** (მაგიდა) მთლიანად კერძებით იყო დახუნძლული და ჩვენ გარდა კიდევ ოცი კაცისთვის იყო გათვალისწინებული. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ერთადერთი სადილი, რომელიც ჩვენ გვახსოვს, სადაც შემწვარი ვარები დასაწყისში შემოგვთავაზეს დასაგემოვნებლად. თითოეულისთვის ზუსტად ნახევარ ვარია იყო განკუთვნილი. ამით დავიწყეთ და შემდეგ უკვე ცივ მოხარშულ დედალზე გადავიდით, რომელსაც ზედ არაჩვეულებრივად შეკაზმული ასევე ცივი სანებელი ჰქონდა გადასხმული. ამას მოჰყვა ყველი, პამიდვრის სალათა და მჟავიულობა. და მერე უგემრიელესი ცხვრის ხორცი, სქელი სანებლით, შემდეგ კი შემწვარი სულგუნი. იქა-აქ ზვინებად ეწყო ქართული ჭვავის პურის ნაჭრები. სუფრის შუაგული ხილით – ყურძნით მსხლით და ვაშლით – იყო ჩაზნექილი. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ყველაფერს გადასარევი გემო ჰქონდა. თვითეული ეს სურნელი ჩვენთვის ახალი გახლდათ და ჩვენც უკლებლივ ყველა კერძის და ხილის გასინჯვა მოგვინდა. იმდენი მივირთვით, რომ ლამის მუცლის გვრემა დაგვემართა.

წარგვადგინეს რა ოცი სტუმრის წინაშე, **წანას** (სუფრას) მივუსხედით. აქ კი ჩვენ სირთულეები შეგვექმნა: თუ ჭამას შევწყვეტდით, მაშინვე გვთხოვდნენ, რომ ჭამა განგვეგრძო, ხოლო თუ დავაცარიელებდით, თეფშებს მაშინვე ახალი კერძებით გვივსებდნენ. იმავედროულად სავსე დოქებით იქაური ღვინოს გვთავაზობდნენ, მსუბუქ, სურნელოვან ღვინოს, რომელმაც ჩვენ, მართლაც რომ გადაგვარჩინა. რამდენიმე ჭიქის შესმის შემდეგ მასპინძელი წამოგდა.

მისი მეუღლე, ლამაზი ქალი შავი თვალებით და მიმზიდველი სახით, სამზარეულოდან გამოვიდა და გვერდში დაუდგა. მასპინძელმა ჯერ ჩვენი სადღეგრძელო შესვა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატებისა. ამის შემდეგ მან თავისი საუკეთესო მეგობარი თამადად დაასახელა, რაც, როგორც გვითხრეს, ძველი ქართული ჩვეულება ყოფილა.

როდესაც ჩვენი სადღეგრძელო წარმოითქვა, ყველანი წამოდგნენ და ერთმანეთს ჭიკები მიუჭახუნეს. ამას მოჰყვა მეგობრობის საგანგებო სადღეგრძელო: რომელიც წყვილ-წყვილად მკლავგადაჭობილმა კაცებმა ბოლომდე შესვეს. ამ დროს ღვინო ყველას მიანოდეს: სამზარეულოდან გამოსულ ქალებსაც და გარედან შემოსულ, რკალად მდგარ მეზობლებსაც.

ქართველები, რაღაცით უელსელებსაც გვანან. ყოველ ათკაციან ჯგუფში, სულ ცოტა, შვიდს მაინც კარგი ხმა აქვს. ჩვენს წვეულებაზეც აგუგუნდნენ შესანიშნავი, მრავალხმიანი სიმღერები: ძველებური საომარი თუ მთიელ მეცხვარეთა. ძალიან კარგი ხმები ჰქონდათ მოყვარულ მომღერლებს და მათი გუნდიც იმდენად კარგი იყო, რომ ხელობით გუნდს არ ჩამოუვარდებოდა. თანდათანობით აღტკინებამ იმატა. კაცებმა სკამები მოიხელთეს, მუხლებს შორის უკუღმა მოიქციეს და დასარტყამ საკრავებად გამოიყენეს. და დაიწყო ცეკვა, ქალები სამზარეულოდან ისევ გამოვიდნენ, კაცებმა პურ-მარილი მიატოვეს და გატაცებით აცეკვდნენ. თუმცა მთელ საცეკვაო თანხლებას მხოლოდ მამაკაცთა ხმები, სკამებისგან გამოცემული ბაგუნი და ტაში შეადგენდა, ეს იყო დიდებული საცეკვაო თანხლება. ცალცალკე ცეკვავდნენ ზუსტი, მოზომილი ნაბიჯებით ქალი და კაცი, წყვილად თუ ჯგუფურად, ისინი საქართველოს ეროვნულ ცეკვებს ასრულებდნენ. ეს ყოველი ჩვენ მაშინ ვნახეთ და განვიცადეთ, როდესაც გლახურ სახლში დავყოვნდით დასანაყრებლად და ჭიკა ღვინის დასალევად.

ამ შიშის მომგვრელ საქართველოში ჩვენზე აღმტებული ხალხი აღმოვაჩინეთ. ქართველები

გვეჯობნიდნენ **ნადიმში** (ქეიფში), სმაში, ცეკვაში, სიმღერაში. გამოირჩეოდნენ იტალიელების ბოქსარი მხიარულებით და ბურგუნდიელების დაუღლულობით. რასაც აკეთებდნენ, ყველაფერს ალღოიანად. ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ ჩვენი ნაცნობი რუსებისგან. იმასაც მივხვდით თუ რატომ იყვნენ სხვა საბჭოთა მხარეების მცხოვრებლები მათით ასე აღფრთოვანებული. ქართველთა უშრეტმა გამოსხივებამ მზიურ გარემოში განსაკუთრებული სასიცოცხლო საზრდო ჰპოვა. არავის და არაფერს არ ძალუძს მათი სულიერი სიმტკიცის დათრგუნვა. ვის, რომელ დამპყრობელს, რომელ „ცარისტულ არმიას“, რომელ **მტარვალს** (დესპოტს) არ სურდა მათი თვითმყოფადობის მოსპობა, მაგრამ ვერავინ მასზე ნაჭდევის დაჩენაც კი ვერ შეძლო.

**მიპატიჟება ოფიციალურ წვეულებაზე თბილისში**

ერთ საღამოს მასპინძლებმა საბაგირო გზით, ზედ კლდეებზე გადავლით, მთის წვერზე მდებარე დიდ სალხინოში წავიყვანეს, საიდანაც შესანიშნავი ხედი იშლებოდა. შორს, კავკასიონის შავი მწვერვალების მიღმა, დაბინდული ცა ოქროსფრად ელავდა. ქვემოთ კი განათებული თბილისი პატოსანი თვლების სამკაულივით ბრწყინავდა.

სალხინოში დიდ საზოგადოებას შეეყარა თავი. კოხტად განყობილი, ყვავილებით მორთული, გრძელზე-გრძელი წანა დაახლოებით ოთხმოცი კაცისთვის იყო გათვლილი. აქ იყვნენ ლამაზი ქართველი მოცეკვავეები და მომღერლები. აგრეთვე, მწერლობის და ხელოვნების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები.

წვეულება დაიწყო ისე, როგორც ჩვეულებრივ ასეთი წვეულება იწყება – რამდენიმე **ობმოკიდებული** (ბანალური) სიტყვით, მაგრამ ქართული ბუნება, ქართული სული ამას ვერ ეგუება და ძალიან მალე მსგავსი სიტყვები და გამოსვლები შეწყდა. ობმოკიდებულობა ქართველებისთვის აუტანელი რამაა. ისინი თავს ძალას ვერაფრით ვერ დაატანენ, რომ ვინმეს წინაშე, თუნდაც მცირე

ხნით, ობმოკიდებულები წარმოჩნდნენ. და აჩქეფდა წანაზე ღვინო. და აჩქეფდა სიმღერა: ეული თუ გუნდური და გაჩაღდა ცეკვა. კაპამ თავისი ცნობილი, არცთუ მოხდენილი, „კაზაკური“ იცეკვა და, ჩვენდა გასაკვირად, მისი ბოლომდე შესრულება შესძლო.

მაგონდება ერთი ქართველი ხელოვანი, რომელმაც ჭიკა ასწია, გაიციინა და წარმოსთქვა: „ემ-მაკსაც წაულია პოლიტიკა!“ ისიც მაგონდება, რომ ქართულად ცეკვა ვცადე ერთ ლამაზ ქალთან, ვინც მოგვიანებით მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავე ქართველი ქალი აღმოჩნდა. დასასრულ, მე მახსოვს, როგორ მივიდა სამხედრო პირი ჩვენი წვეულების წვერთაგან შემდგარ ქუჩაში მომღერალ ჯგუფთან და როდესაც მათი მოლხენის მიზეზი გაიგო, სიმღერას თვითონაც აპყვა.

ენობრივი წინააღმდეგობები გადაილახა, ეროვნული სხვადასხვაობა გაქრა და ერთმანეთისა უშუამავლოდ გვესმოდა.

საოცრებებით აღსავსე საღამო გვექონდა და წვეულება, რომელსაც ჩვენ ცოტა არ იყოს ალამაცერად ვუცქერდით, ამის დიდებული მიზეზი გამოდგა.

არსებობს **ჰორიული** (მაგიური) ადამიანებით დასახლებული გრძნეული მხარე საქართველო, რომლის კვლავ ხილვა, რა წამსაც დატოვებ, მაშინვე ოცნებად გადაგექცევა. ქართველებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველზე მდიდარი და ლამაზი ქვეყანა აქვთ და შესაფერისადაც ცხოვრობენ. ახლა უკვე კარგად ვიცით რატომ გვიმეორებდნენ რუსები კვლავ და კვლავ: **„თუ თქვენ საქართველო არ გინახავთ, ესე იგი არაფერი არ გინახავთ“**.

გერმანულიდან გადმოაქართულა და შესავალი წერილი დაურთო **ენვერ ნიჟარაძემ**

რედაქტორი: ენვერ ნიჟარაძე  
დაკაბადონება: პაატა ქორქია  
**უნყებები** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **ათვილითი** (პერიოდული) გამოცემა იბეჭდება აკადემიის სტამბაში